

# კონკურსი 2017

მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის  
საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტი (გამგეობა) საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით 2017 წლის 24 მაისს აცხადებს კონკურსს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობებზე შემდეგი პირობებით:

1. კონკურსს ატარებს მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში კომისია);

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 დღის ვადაში დარეგისტრირდეს და წარადგინოს განაცხადი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)); კანდიდატს უფლება აქვს წარადგინოს განაცხადი ერთდროულად არაუმეტეს 5 (ხუთ) ვაკანსიაზე, ხუთზე მეტ ვაკანსიაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

3. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) „ჩემი რეზიუმე“-ში „დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, უცხო ენაზე გაცემული განათლების მოწმობის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი;

- არსებობის შემთხვევაში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი (შრომის წიგნაკი ან უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ გაცემული ცნობა);

- დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნას სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

4. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან/და არასრულად ექნება წარმოდგენილი მითითებული დოკუმენტაცია, ვერ გააგრძელებს კონკურსის გასაუბრების ეტაპზე მონაწილეობას;

5. კონკურსი ჩატარდება 2 (ორ) ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი: განაცხადების (აპლიკაციების) გადარჩევა

პირველ ეტაპს წარმატებით გაივლიან და გასაუბრების ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებსაც მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად სწორად ექნებათ წარმოდგენილი განაცხადები (აპლიკაციები) და აკმაყოფილებენ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) მეორე ეტაპი: გასაუბრება

გასაუბრებისას ფასდება კანდიდატის ცოდნა, პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, პიროვნული შესაძლებლობები, თვისებები და მათი შესაბამისობა დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან;

გასაუბრება წარიმართება ობიექტურობის და კორექტულობის პრინციპების დაცვით. კომისიის შემადგენლობა ყველა კონკურსანტის მიმართ იქნება კეთილგანწყობილი და არ მოახდენს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ გავლენას;

6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება;

7. კონკურსის II ეტაპის - გასაუბრების ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის, ასევე კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით მათ მიერ განცხადებაში (აპლიკაციაში) მითითებული ელექტრონული ფოსტის ან მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.

8. კონკურსანტს უფლება აქვს მიმართოს საპრეტენზიო კომისიას მხოლოდ წერილობით ფორმით კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.

საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით;

9. მოთხოვნილი საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი და საკვალიფიკაციო მოთხოვნით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტები იხილეთ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებ-გვერდებზე [www.martvili.ge](http://www.martvili.ge) „ვაკანსიის“ ველში.

10. შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

ანდრო კეკელია ტელ 577 95 48 05

**PS.** კონკურსანტს ეკრძალება:

- კონკურსზე დაგვიანება;
- მობილური ტელეფონის ადასხვანოვების იმოთახშიშეთანა, სადაც ტარდება ტესტირება/გასაუბრება